

## მონაცემები ადამიანის უფლებათა შენობის შესახებ

• **არქიტექტორი:** რიჩარდ როჯერსი
არქიტექტორთა კონსორციუმი: შპს რიჩარდ როჯერს ფართნერშიფი, ლონდონი და კლოდ ბუშე, სტრასბურგი

• **ღირებულება:** 455 მილიონი ფრანგული ფრანკი

• **გამოყენებადი ტერიტორია:** 28,000 კვ.მ., მათ შორის:
- 860 კვ.მ. სხდომათა დარბაზისათვის
- 520 კვ.მ მცირე სხდომათა დარბაზისათვის
- 4,500 კვ.მ. შეხვედრების ოთახები
- 16,500 კვ.მ სამუშაო ოთახები

• **შეხვედრების ოთახების რაოდენობა:** 18, მათ შორის,
- სხდომათა დარბაზი (243 ადგილი+49 ადგილი მოსამართლეებისათვის+22 მომჩივანთათვის)
- მცირე სხდომათა დარბაზი (101 ადგილი+25 მოსამართლეებისათვის+12 მომჩივანთათვის)
- სასამართლოს სათათბირო ოთახები (47-52 ადგილით) შეხვედრების ოთახები (საშუალოდ 47 ადგილი მაგიდების გასწვრივ, დამატებით 52 ადგილი ოთახის სიღრმეში)

• **სამუშაო ოთახების რაოდენობა:** 535 ოთახი (ცვალებადი)

• **აუდიოვიზუალური აღჭურვილობა:** პრესის ოთახი (204 ადგილი) სემინარების ოთახი (104 ადგილი)

• **ამასთანავე:**
- 490 კილომეტრი ელექტრო კაბელები
- 5,500 განათება
- 10 კილომეტრი მილები
- 500 მეტრი დოკუმენტების გადასატანი დანადგარი
- 9 ლიფტი/ სატვირთო ლიფტი
- 450 ტონა მეტალის ჩარჩო
- 1,450 ტონა ბეტონის გამაგრება
- 15,000 კუბური მეტრი ბეტონი
- 2,800 ხაზოვანი მეტრი ფანჯრის გასწვრივ დარგული მცენარეების ყუთი
- 4 სიცხის მარეგულირებელი ტუმბო
- 16 ჰაერის მარეგულირებელი დამოუკიდებელი ერთეული
- 50 ფირმა 125 ქვეკონტრაქტორით
- 1,500 მუშა ადგილზე
- 800,000 საათი მშენებლობა

## არ აგერიოთ

**ევროპის კავშირის მართლმსაჯულების სასამართლო**
მდებარეობს ლუქსემბურგში და უზრუნველყოფს ევროკავშირის კანონმდებლობასთან შესაბამისობას, განიხილავს და ზედამხედველობს ევროპის კავშირის დამფუძნებელი ხელშეკრულების გამოყენებისა და განმარტების საკითხებს.

**მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლო**
გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სასამართლო ორგანო, მდებარეობს ჰააგაში.

**ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია**
გაეროს მიერ 1948 წელს მიღებული დოკუმენტი, რომელიც მიზნად ისახავდა ადამიანის უფლებების დაცვის გაძლიერებას საერთაშორისო დონეზე.

**ფუნდამენტური უფლებების ქარტია**
ევროკავშირის დოკუმენტი ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების შესახებ, მიღებულია 2000 წელს.



## დამატებითი ინფორმაცია

European Court of Human Rights
Public Relations
67075 Strasbourg cedex
France
www.echr.coe.int

KAT



# მოკლედ სასამართლოს შესახებ

EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS
COUR EUROPÉENNE DES DROITS DE L'HOMME

COUNCIL OF EUROPE
CONSEIL DE L'EUROPE




## ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო არის საერთაშორისო სასამართლო, რომელიც შეიქმნა 1959 წელს. მას გადაწყვეტილებები გამოაქვს ინდივიდუალურ ან სახელმწიფოთა საჩივრებზე, რომლებიც ეხება ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციიაში მოცემულ სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების სავარაუდო დარღვევებს.

1998 წლიდან იგი გახლავთ სრულ განაკვეთზე მომუშავე სასამართლო, სადაც ფიზიკურ პირებს პირდაპირი მიმართვის უფლება აქვთ.

სასამართლომ, დღიდან მისი დაარსებისა ასობით ათასი საჩივარი განიხილა. მისი გადაწყვეტილებები სავალდებულოა მოცემული ქვეყნებისათვის და იწვევს მთავრობების მიერ მათი კანონმდებლობისა და ადმინისტრაციული პრაქტიკის ცვლილებას მრავალ სფეროში. სასამართლოს პრაქტიკა კონვენციას თანამედროვე და ძლიერ ცოცხალ ორგანიზმად აქცევს, რომელიც მზადაა შეხვდეს ახალ გამოწვევებს და მოახდინოს კანონის უზენაესობისა და დემოკრატიის კონსოლიდაცია ევროპაში.

სასამართლო სტრასბურგში, ადამიანის უფლებათა შენობაში მდებარეობს, რომელიც ბრიტანელი არქიტექტორის ლორდ რიჩარდ როჯერსის მიერ 1995 წელს იქნა დაპროექტებული. შენობა ცნობილია მთელს მსოფლიოში. სწორედ ამ შენობიდან ხდება 700 მილიონი ევროპელის უფლებების პატივისცემაზე ზედამხედველობა სასამართლოს მიერ, რომლებიც ევროპის საბჭოს იმ 46 წევრი ქვეყნის მოქალაქეები არიან, რომელთაც რატიფიცირებული აქვთ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია.

## მნიშვნელოვანი თარიღები

**1949 წლის 5 მაისი –**
ევროპის საბჭოს შექმნა

**1950 წლის 4 ნოემბერი –**
კონვენციის მიღება

**1953 წლს 3 სექტემბერი –**
კონვენციის ძალაში შესვლა

**1959 წლის 21 იანვარი –**
სასამართლოს პირველი წევრების არჩევა ევროპის საბჭოს მრჩეველთა ასამბლეის მიერ

**1959 წლის 23–28 თებერვალი –**
სასამართლოს პირველი სხდომა

**1959 წლის 18 სექტემბერი –**
სასამართლომ მიიღო სასამართლოს რეგლამენტი

**1960 წლის 14 ნოემბერი –**
სასამართლოს გამოაქვს პირველი განაჩენი საქმეზე ლოულესი ირლანდიის წინააღმდეგ (*Lawless v. Ireland*)

**1998 წლის 1 ნოემბერი –**
ძალაში შედის კონვენციის მე-11 ოქმი, რომელიც აყალიბებს ახალ სასამართლოს

**2010 წლის 1 ივნისი –**
ძალაში შედის მე-14 ოქმი, რომელიც მიზნად ისახავს სასამართლოს გრძელვადიანი ეფექტურობის უზრუნველყოფას

**2018 წლის 1 აგვისტო**
ძალაში შედის კონვენციის მე-16 ოქმი, რომელიც შესაძლებელს ხდის სასამართლომ გასცეს საკონსულტაციო დასკვნები



## ადამიანის ფლებათა ევროპული კონვენცია




ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია გახლავთ საერთაშორისო ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოები პირობას დებენ დაიცვან არა მარტო მათი მოქალაქეების, არამედ მათი იურისდიქციის ქვეშ მყოფი ყველა პირის სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები. კონვენცია, რომელსაც ხელი 1950 წლის 4 ნოემბერს რომში მოეწერა, ძალაში შევიდა 1953 წელს.

## გარანტიები და აკრძალვები აკრძალვებს:



**კონვენცია იცავს შემდეგ უფლებებს:**

- სიცოცხლის უფლება,
- საქმის სამართლიანი განხილვის უფლება,
- პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება,
- გამოხატვის თავისუფლება,
- აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება და
- საკუთრების დაცვა.

**კონვენცია აწესებს შემდეგ აკრძალვებს:**

- წამება და არაადამიანური თუ დამამცირებელი მოპყრობა ან სასჯელი,
- მონობა და იძულებითი შრომა,
- სიკვდილით დასჯა,
- თვითნებური და უკანონო დაკავება და
- დისკრიმინაცია კონვენციით გარანტირებული უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობისას.